# სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N32 (9176) 20 ნოემბერი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი


2

## ...ის ჟურნალისტი სასამართლოდან ვერ დაიხსნიდა თავს



3

## "კითხვა ბევრია – პასუხისგამცემი კი ჯერ ვერ ვნახე"

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი

6

## საჭიროებიდან უფლებამდე

2

## ნიჭის, გენის საყოველთაო აღიარება

ასე შეიძლება შეფასდეს "იუნესკოს" მიერ ახლახან მიღებული გადაწყვეტილება – მომავალი "2016 წლის – შოთა რუსთაველის – ვეფხისტყაოსნის წლად" გამოცხადების შესახებ.

4



## 23 ნოემბერს გიორგობაა, გილოცავთ!

– ყველა ბორცვზე, მაღლობზე საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე ეკლესია, სამლოცველო არსებულა, ვკითხულობთ ისტორიულ წყაროებში, რაც წმინდანისადმი ქართველი ერის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

წმინდა გიორგი, პირველმოწამე, ძლევამოსილი ქრისტიანი წმინდანი იყო კაპადოკიიდან, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ევნო და ეწამა.

საქართველოში წმინდანის ხსენების მთავარ დღეებად 6 მაისი თავის კვეთის დღე და 23 ნოემბერი, ბორბალზე დაკვრის თარიღი აღინიშნება.

წმინდა გიორგის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ წმინდანთა პანთეონში.

23 ნოემბერს ყველა მოქმედ ტაძარში შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება.

გიორგობას გილოცავთ!

**ლევან გაბჩავა**

## ახალგაზრდული დებატები გრძელდება

5

# ...ის ჟურნალისტი სასამართლოდან ვერ დაიხსნიდა თავს

ნინო ნანიტაშვილი

***"მე ხელთ მაქვს "სამტრედიის მაცნეს" 30 ივნისის ნომერი, სადაც ჟურნალისტი ერთ-ერთ სტატიაში "სექტემბერში პენსიაზე 1 ლარი აღარ დაემატებაო" არასწორ ინფორმაციას ავრცელებს. სამტრედიის ყველა სოფელში, მათ შორის ღანირში მქონდა პირადად შეხვედრები პენსიონერებთან და ინვალიდებთან, რა დროსაც მათ მოვუწოდებდი, პენსიონერებს ამოგვეღო ხმა იმასთან დაკავშირებით, რომ 9 თვის განმავლობაში ველოდებოდით 10 ლარიან დანამატს. სწორედ ამ 10 ლარიან დანამატზე ამახვილებს ყურადღებას ჟურნალისტი და იქვე მუნიციპალიტეტის გამგებლის კომენტარს აქვეყნებს, რომელიც კონკრეტულ სოფელ ღანირში ჩვენს შეკრებას, მოსახლეობასთან "ნაციონალების" აგიტაციას უწოდებს. ბედი იმ ჟურნალისტის, სტატიაში რომ არ ასახელებს ჩემს გვარსა და სახელს, თორემ სასამართლოდან ვერ დაიხსნიდა თავს". _ ეს განცხადება 13 ნოემბერს ფრაქცია "რესპუბლიკელების" საანგარიშო შეხვედრის ბოლოს გააკეთა ქალბატონმა, რომელსაც საკმაოდ ემოციური გამოსვლა ჰქონდა და სტატიაზე, რომელზეც იგი ყურადღებას ამახვილებდა, მე მეკუთვნოდა. თურმე, სწორედ მე გახლდით ის ჟურნალისტი, რომელიც, მისი სახელი და გვარი რომ მეხსენებინა, სასამართლოდან ვერ დავიხსნიდი თავს.***

***საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, სამტრედიაში თითზე ჩამოსათვლელი არიან ჟურნალისტები, რომლებსაც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე სასამართლოსთან ჰქონიათ საქმე.***

***მე, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ აღმოვჩნდი. 2013 წლის ზაფხულში "ნაციონალური მოძრაობის" წყალობით მე-9 არხის ბიუროს მაშინდელი უფროსი და "სამტრედიის მაცნეს" კორესპონდენტი, სასამართლოს წინაშე წარვსდექი და ერთ-ერთი უწყინარი ახალი ამბის გაშუქების გამო "სამტრედიის მაცნე" დააჯარიმეს. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, ქალბატონი ლილი ნოდია იხსენებს ღანირში შეხვედრას, სადაც იგი, როგორც უფლებამოსილი პირი, არასამთავრობო ასოციაცია კავშირი "ქველმოქმედის" პრეზიდენტი სოფელში პენსიონერებს, ინვალიდებსა და სოციალურად დაუცველ ადამიანებს შეხვდა. მავანმა კი მას, როგორც თავად ამბობს, "ნაციონალების" იარლიყი მიაკრა.***



სინამდვილეში ვინ არის ლილი ნოდია? უფრო ახლოს გასაცნობად ქალბატონმა ლილიმ 16 ნოემბერს ჩვენი გაზეთის რედაქციას მოაშურა. იგი 2012 წლის 1-ლ ოქტომბერს და ყველა მომდევნო არჩევნებში სამტრედიის მე-5 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრი იყო "თავისუფალი დემოკრატების" კვოტით. ლილი ნოდია დღესაც რჩება "თავისუფალ დემოკრატებში". "ჩემს ოჯახში 2011 წლის შემოდგომიდან იმართებოდა კონსპირაციული შეხვედრები იმ ადამიანებთან, რომლებიც დღეს სამტრედიაში თანამდებობის პირები არიან". _ გვითხრა ლილი ნოდიამ.

71 წლის ქალბატონი ამჟამად სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის № 16-ში ცხოვრობს. 2004 წლის 13 თებერვლამდე იგი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სოციალური სფეროს ხელმძღვანელი გახლდათ. მეუღლე ნოდარ ნოდია 1959 წლიდან მეტროს მშენებლობასთან დაკავშირებით თენგიზ დოლიძესთან და გურამ ბუბაშვილთან ერთად სამტრედიიდან, როგორც წევის ქვესადგურების ინჟინერი, თბილისში გადაიყვანეს. ნიშანდობლივია, რომ მეტროს გვირაბში პირველი მატარებელი სწორედ სამტრედიელმა ლეკვეიშვილმა გაიყვანა: "ნაციონალურ" მოძრაობას შეეწირა ჩემი ოჯახის ბედნიერება. ვაჟი, სუფსის ტერმინალის სამხედრო ბაზის მმართველი იყო, "ნაციონალებმა" სამსახურიდან გაანთავისუფლეს, რაზეც ჩემმა მეუღლემ, ნოდარ ნოდიამ უეცარი ელდა მიიღო და ვერ გადაიტანა. "ნაციონალებმა" დამიქციეს ოჯახი, მაგრამ დღეს, 3 მილიონიან საქართველოში 7 თაობაში ღრმად რომ ჩავიხედოთ, შეიძლება ყველა ერთმანეთის სისხლით ნათესავი აღმოჩნდეს. უნდა დამთავრდეს 9 წლიანი ყიჟინა. ამით ჩვენ ვერ გამოვიკვებებით, ამით ვერც სამუშაო ადგილებს შევქმნით და ყველაზე მთავარი, დღევანდელი მთავრობა აღვივებს შუღლს, არ არის დღე, რომ გენოფონდი არ ეწირებოდეს მათ უნიათობას". _ ამბობს ლილი ნოდია და იქვე, განაგრძობს _ "საშინელება მივიღეთ _ "ნაციონალი ხარ" _ სალანძღავ და დასაპირისპირებელ ცნებებად იქცა. "ნაციონალობას" არ უარყოფენ "ნაციონალები". სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება კი ამ იარლიყს აკრავს მათ, ვინც შორს არის ამ პარტიის იდეოლოგიისაგან, მაგრამ განსხვავებული აზრი გააჩნია, ხელისუფლებას აკრიტიკებს. მათ შორის აღმოვჩნდი მეც, რომელიც ვერაფრით ვიქნები კმაყოფილი იმისა, რაც მივიღეთ".

"სამტრედიის მაცნეში" სტუმრობისას ქალბატონმა ლილიმ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებაც გვიამბო, რომელსაც ბევრი კეთილშობილური საქმე უნდა გაეკეთებინა, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მხარდაჭერა რომ ჰქონოდა: "სამტრედიის სოფლებში ჩემმა გადაადგილებამ ნათელი მოჰფინა პენსიოერების უმძიმეს ყოფას. ჩემი თვალით ვნახე ცერებრალური დამბლით დაავადებული ადამიანები და მათი ოჯახები რა მძიმე პირობებში იმყოფებიან. დაფუძნებული მაქვს არასამთავრობო ორგანიზაცია "ნაბიჯი სამტრედია", რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებით ითვალისწინებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვებზე ზრუნვის 2014 წლის პროგრამით გათვალისწინებული სერვისს და დღის ცენტრის მომსახურებას. ამ უკანასკნელის შექმნაზე ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ წერილობით მიპასუხა, რომ "ამჟამად ადგილობრივი ბიუჯეტი არ იძლევა ზემოაღნიშნული ააიპ-ის თანადაფინანსების საშუალებას, საკითხის აქტუალობის გამო იგი დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის". ეს მოხდა 2014 წელს. ჩემს მიერ 2015 წელს ხელახალი მოთხოვნა გაკეთდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე. წლის განმავლობაში მათგან პასუხიც კი არ მიმიღია, რაც "ქართული ოცნების" პირველი ყრილობის დელეგატისათვის წარმოუდგენელიც არის და მიუღებელიც.

ამდენად, სამტრედიის დღევანდელი თვითმმართველობის, კერძოდ, ვალერიანე ფოცხვერიას მუშაობას უარყოფითად ვაფასებ".

ქალბატონმა ლილი ნოდიამ "რესპუბლიკელებთან" შეკრებაზე მის მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ დაწვრილებით ისაუბრა. აღმოჩნდა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში 18 წლამდე ასაკის 85 ბავშვია ცერებრალური დამბლით დაავადებული. საერთოდ კი 800 ინვალიდი ფიქსირდება, სწორედ მათთვის უნდა გაკეთებულიყო დღის ცენტრი, სადაც ევროკავშირი ერთ ბავშვზე კვებისათვის 250 ლარს ჩარიცხავდა. ადგილობრივი მმართველობის მხრიდან კი 18 ოჯახი დასაქმდებოდა. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები მიიღებდნენ ფსიქოლოგების, თერაპევტების, ლოგოპედების, მასაჟისტების მომსახურებას, ეყოლებოდათ მუსიკის პედაგოგი, სოცმუშაკები და ტექნიკური პერსონალი.

ლილი ნოდია: "ამ ადამიანებისთვის ადგილობრივი 2014 წლის ბიუჯეტიდან უნდა გაცემულიყო 70 000 ლარი. იგივე ციფრი დარჩა 2015 წლის ბიუჯეტშიც. სასიკეთო რომ არაფერი მომხდარა, ამაზე დღის ცენტრის არარსებობა მეტყველებს. არადა, გვაქვს მეზობელი მუნიციპალიტეტების პრაქტიკა, რაიონები, სადაც ამგვარ ცენტრებს გადაეცათ შენობები. სამტრედიას კი აქვს შანსი, ბიუჯეტის გარეშე მოიპოვოს შენობა. ყოფილი გამგებლის, აწ გარდაცვლილი თემურ ყაჭეიშვილის ქალიშვილმა, როგორც ქველმოქმედმა, გამოთქვა სურვილი, მამისეული სახლი დღის ცენტრს გადასცეს".

ლილი ნოდია ელოდება მითითებულ ვადას, ერთ კვირაში წერილობითი პასუხი მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოგი ლეჟავასაგან, რომელთანაც ქალბატონ ლილის საკმაოდ ემოციური შეხვედრა ჰქონია.

ფრაქცია "რესპუბლიკელების" ლიდერს, იმედა გოგავას საანგარიშო შეხვედრაზე ლილი ნოდიამ პათოსი მოუწონა, მადლობა გადაუხადა ქვეყანაში და მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების ობიექტურად შეფასებისთვის, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისთვის. და იქვე "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან ქვეყნის პირველ მოქალაქეს მიმართა:

"ევროკავშირი ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებას გვთავაზობს. ამ დროს ჩვენი გულგრილობა გაურკვეველია. ბიუჯეტი, რომელიც კონკრეტულ სფეროს მილიონობით ლარით აფინანსებს, ჩვენი შეჭირვებული თანაქალაქელებისათვის 70 000 ლარი არ ემეტება. ბიძინა ივანიშვილის ყველა შეხვედრის მონაწილეს მახსოვს, ყოფილი პრემიერი 2012 წლის 1-ლ ოქტომბრამდე ამბობდა, თუ 2012 წლის ბიუჯეტი მას არ მისცემდა შესაძლებლობას პენსია გაეზარდა, მაშინ თავად საკუთარი ჯიბიდან გაზრდიდა 230-დან 250 ლარამდე მას. დღეს კი 700 000 პენსიონერი იმედგაცრუებულია, ნაცვლად 100 დოლარისა, 67 დოლარის ეკვივალენტის ფარგლებში ღებულობს პენსიას. როცა საარსებო მინიმუმი 370 ლარია. მივმართავ ყოფილ პრემიერს: შესანიშნავი გეგმა გქონიათ 2020-დან 2030 წლამდე. რა დავაშავეთ 700 000-მა პენსიონერმა, რომელთა ძვალიც კი არ იქნება 2030 წელს. მანამდე არ გვინდა არსებობა, წამლის შეძენა? რატომ არ უნდა შეეძლოს პენსიონერს, კარაქი "პრეზიდენტი" მიიღოს, რომლის რეკლამაც კეთდება. რატომ არ უნდა შეგვეძლოს 1 კილოგრამი ხორცის ყიდვა. ყველაზე მეტად რაც სჭირდება პენსიონერს, სახსრების ანთების წამლის, "ართრას" შეძენა, რომლის ფასიც 38 ლარია?

არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია კავშირი "ქველმოქმედი" აყენებს წინადადებას, რომ სასწრაფოდ იქნეს 2016 წლის ბიუჯეტში გაწერილი 350 ლარი პენსიონერებისთვის. მინდა, ბიძინა ივანიშვილს შევახსენო, რომ სოციალური სფეროს ქუჩაში გამოსვლა "ქართული ოცნების" დასასრული იქნება".

## საქიროებიდან უფლებამდე

1945 წელს შექმნილმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, 1948 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია მიიღო, 1959 წლის 20 ნოემბერს კი, "ბავშვის უფლებათა კონვენცია".

საქართველო ერთ-ერთია იმ სახელმწიფოთაგან, რომელთაც ხელი აქვთ მოწერილი კონვენციაზე, რაც იმას მეტყველებს, რომ ქვეყანა აღიარებს მის პრინციპებს.

კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერაა რატიფიცირებული, ე. ი. სახელმწიფომ განუხრელად უნდა დაიცვას ბავშვის ის უფლებები რაც დოკუმენტითაა გაცხადებული.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ხელი აქვს მოწერილი "ბავშვის უფლებათა კონვენციაზე", გამონაკლისს ამ მხრივ სომალი და ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ.

ხელმოუწერლობის მიზეზი ის არის, რომ აშშ-ში კონვენციაში წარმოდგენილი ყველა მუხლი ისედაც განუხრელადაა დაცული ამერიკის კონსტიტუციით, სომალში კი პირიქით, არც ერთი მუხლის მოთხოვნა არ სრულდება.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?

ჩვენი ყოველდღიურობა ამის მშვენიერ მაგალითს იძლევა.

გვახსოვდეს, 20 ნოემბერი "ბავშვის უფლებათა კონვენციის" დღეა.

ყავლგაუსვლელია სიტყვები: ბავშვები ჩვენი მომავალი, ხვალინდელი დღეა!

მსოფლიო ზრუნავს ბავშვებზე!

ლევან ბაბეჩავა

**85 წლის** გვირგვინოსანს, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" შემოქმედებით ჯგუფს, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს!

საუკეთესო სურვილებით, გაზეთის თაყვანისმცემელი

გია ბოჭორიშვილი

# ''კითხვა ბევრია – პასუხისგამცემი კი ჯერ ვერ ვნახე''

**ნინო ნანიტაშვილი**

ფრაქცია ''რესპუბლიკელებმა'' 13 ნოემბერს მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა. ერთწლიანი მოღვაწეობის ანალიზი იმედა გოგავამ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეკრებილ აუდიტორიას წარუდგინა. შეხვედრაზე დასწრების ინტერესი რომ დიდი იყო, ამაზე გადაჭედილი დარბაზი მეტყველებდა.

იმედა გოგავა, ფრაქცია ''რესპუბლიკელების'' თავმჯდომარე: ''დღეს ჩვენ სამტრედიელებს ვაბარებთ ანგარიშს. მესმის, რომ ეს პოლიტიკური ნოუჰაუა ჩვენს ქალაქში, მაგრამ ჩვენ იმ პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები გახლავართ, რომლისთვისაც საზოგადოების და მოსახლეობის თვალსაზრისი და ინტერესი ყოველთვის არის და მომავალშიც დარჩება უმთავრესი პრიორიტეტი. ფრაქცია ''რესპუბლიკელები'' კვლავაც აქტიურად გააგრძელებს სამტრედიელების ინტერესების გაჟღერებას და დაცვას მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ჩვენ ვგრძნობთ როგორც ვალდებულებას და პასუხისმგებლობას, ასევე ყურადღებას და მხარდაჭერას სამტრედიელების მხრიდან. მინდა, ისინი დავარწმუნო, რომ მე და ჩემი გუნდი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, სამტრედია გაცილებით უკეთესი, ლამაზი და ნათელი რომ გახდეს''.

იმედა გოგავამ დარბაზს ერთი წლის განმავლობაში ფრაქციის მიერ გაჟღერებული ინიციატივები წარუდგინა. მათ შორის, წინადადება საატესტაციო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით: კომისია უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო, მომხდარიყო გასაუბრების ვიდეოჩაწერა, კომისია დაკომპლექტებულიყო არასამთავრობოების წარმომადგენლებითა და ჟურნალისტებით, რაზეც ფრაქცია უმრავლესობიდან მხარდაჭერა ვერ მიიღო: ''ყოველივე ამის იგნორირებამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა. კერძოდ, რამდენიმე სასამართლო პროცესი კომისიამ წააგო და გაუქმდა გასაუბრების შედეგები''.

იმედა გოგავა სოკარ-ჯორჯიას საკითხსაც შეეხო. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანული კომპანია ფაქტობრივად იგნორირებას უკეთებდა ადგილობრივ მოსახლეობას, არ იღებდა მათ განცხადებებს: ''ჩვენმა ფრაქციამ დააყენა საკითხი, საკრებულოში მოგვეწვია სოკარ-ჯორჯიას დასავლეთ საქართველოს ფილიალის დირექტორი და მასთან ერთად გაგვერკვია, როდის უზრუნველყოფდა კომპანია ცენტრალური მაგისტრალიდან ბუნებრივი აირის ოჯახებში მიწოდებას. მივაღწიეთ იმას, რომ კომპანიის დასავლეთის ხელმძღვანელი საკრებულოში მოვიდა, თუმცა მათი არგუმენტები უსუსური, უსაფუძვლო და არაფრისმთქმელი აღმოჩნდა, რამაც ჩვენს შორის სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია. შედეგად ის მივიღეთ, რომ დასავლეთში სოკარ-ჯორჯიას დირექტორი გამოიცვალა. ახალმა კი, მომენტალურად დაიწყო პროექტების განხორციელება''.

იმედა გოგავას საანგარიშო მოხსენებაში მთვარი ადგილი დაიკავა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის გაუმჭვირვალობამ და გარე ვაჭრობის მოუწესრიგებლობამ: ''ბიუჯეტი, როგორც წესი, მოქალაქეების მიერ გადახდილი თანხის ერთობლიობაა, რომელიც უნდა მოხმარდეს თავად მოქალაქეების ინტერესებს. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა აქტიურად უნდა იყოს ჩართული ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრაში. შესაბამისად, ხელისუფლებაც უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თითოეულ თეთრზე და არ უნდა აძლევდეს საკუთარ თავს უფლებას, ერთპიროვნულად განსაზღვროს ბიუჯეტის პრიორიტეტები, თანხა ხარჯოს საკუთარი შეხედულებისამებრ. სამტრედიის შემთხვევაში არასახარბიელო სურათი მივიღეთ. ძალიან მწირი ბიუჯეტის პირობებში, სადაც შეკვეცილია თანხები ისეთ სფეროებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, სოციალური სფერო, ინფრასტრუქტურული პრიორიტეტები, ამ დროს რატომღაც ბიუჯეტის მსუყე ნაჭერი მიდის ერთ კონკრეტულ სფეროზე და ჩვენ რეალურად არ ვიცით ადგილობრივების აზრი და პოზიცია ამასთან მიმართებაში. ის, რომ ფეხბურთი გახდა პრიორიტეტი ამ ქალაქში, მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან მესმის. მოსახლეობიდან მე ჯერ ასეთი რამ არ მსმენია. ჩემმა ამ დამოკიდებულებამ რამდენიმე ადამიანს გაუღვივა ილუზია, რომ გულშემატკივრების ნაწილს დამაპირისპიროს, რაც ჩანასახშივე მკვდრადშობილი იდეაა, რადგანაც არავიზე ნაკლები გულშემატკივარი გახლავართ, მაგრამ თუ ვინმე დამარწმუნებს, რომ ქალაქში, სადაც მიზერული თანხაც არა აქვს ყველაზე აქტუალურ სფეროებს, სადაც არც ერთი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა, გვაქვს ფუფუნება, რომ მილიონ ნახევარი და შეიძლება მეტიც, ფეხბურთზე მივმართოთ, მაშინ, როდესაც, ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ხელფასებზე და პრემიებზე მიდის, მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ ვერ მოვახერხეთ საცურაო აუზს თანხა გამოუყოთ ჰელიოსისტემით აღჭურვისათვის. ეს კი იწვევს იმას, რომ აუზს წლის დიდ დროს ფუნქცია აქვს დაკარგული. საქმე რომ კარგად მიდის, ნამდვილად გაუჭირდება ჭკვიან კაცის დაჯერება.

რაც შეეხება გარე ვაჭრობას, პრობლემა მემკვიდრეობით მოდის. ფრაქციამ დააყენა საკითხი უფრო მკვეთრი ნაბიჯები გადაგვედგა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. დაიგეგმა კონკრეტული ნაბიჯებიც, თუმცა, საკითხი დღემდე მოუგვარებელია, დღემდე ანტისანიტარია და შავი ბუღალტერია არის აღნიშნული ''ბაზრობის'' სავიზიტო ბარათი. მაინტერესებს, ვინ არის ყველაფერ ამაზე პასუხისმგებელი, რატომ ვერ მოხერხდა ''გარე ვაჭრობის'' ჩარჩოებში მოქცევა? ვინ უშლის ხელს ყველაფერ ამას, ან ვინ ითბობს ყველაფერ ამისგან ხელს?

კითხვა ბევრია, პასუხისგამცემი კი – ჯერ ვერ ვნახე''...





ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილმა თემატურმა კონფერენციამ ''დიდი ნიკო – ჩვენი თანამედროვე''.

ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის გადმოცემით, ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰიდროენერგეტიკისა და ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადატანას.

1881 წელს, პარიზში, მსოფლიო გამოფენაზე ფრანგმა მეცნიერმა მარსელ დეპრემ ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადატანის იდეა წამოჭრა. ის ცდილობდა აუდიტორიისთვის ყველაფერი დამაჯერებლად აეხსნა, მაგრამ იქ დამსწრე სპეციალისტები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ყველაფერი კარგია, მაგრამ ეს ხომ ფანტაზიაა და დასცინეს კიდეც (მეცნიერი ნირწამხდარი, გაფითრებული იდგა). ამ გამოფენას ესწრებოდა ჩვენი თანამემამულე, დიდი ნიკო ნიკოლაძე. მართალია, ის ამ საქმის სპეციალისტი არ გახლდათ, მაგრამ მიხვდა, რომ ამ იდეას დიდი მომავალი ჰქონდა. ის, როგორც კავკასიის წარმომადგენელი იქვე გაეცნო მეცნიერს და იდეა მოუწონა. უთხრა, რომ ის არ ეთანხმება მათ, ვინც მის მოსაზრებებს ირონიით შეხვდა. მეტი დამაჯერებლობისათვის ურჩია პრაქტიკული ექსპერიმენტის ჩატარება. მეცნიერმა განუცხადა, რომ ამისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნდა. ნიკო ნიკოლაძემ ანონიმური წერილით მიმართა მილიონერ როტშილდს, რათა ის დახმარებოდა მარსელ დეპრეს ელექტროენერგიის შორ მანძილზე მოწყობაში. ნიკო ნიკოლაძემ წერილს ხელი მოაწერა როგორც ''გამომგონებლის თაყვანისმცემელი''. როტშილდმა მარსელ დეპრე მოძებნა. შეხვედრაზე ჰკითხა შეეძლო თუ არა კრეილის ჩანჩქერზე გენერატორის მოწყობა და პარიზში მისი უბნის განათება. პასუხი იყო – უეჭველად. გადაწყდა: ''ფული ჩემი, საქმე – თქვენი!'' როტშილდს ჰკითხეს, თუ რატომ წავიდა რისკზე, მით უმეტეს, რომ ფიზიკაში განათლება არ ჰქონდა, თანაც მეცნიერები წინ აღუდგნენ დეპრეს გამოგონებას, მან კი უხვად დააფინანსა იგი.

''ამის მიზეზი გახლდათ ერთი ანონიმური წერილი, რომელშიც შესანიშნავად იყო დასაბუთებული პროექტის განხორციელების აუცილებლობა''. – განმარტა როტშილდმა. ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის ძალისხმევამ, მარსელ დეპრეს გამოგონებამ და როტშილდის მეცენატობამ პარიზი გაანათა. მარსელ დეპრე კი საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. ეს დაწვრილებით აღწერილი აქვს ანდრე კარბელაშვილს თავის ნაშრომში ''როგორ გაანათა ნიკო ნიკოლაძემ პარიზი''.

## ფანტაზიიდან რეალობამდე

არჩილ ჯორჯაძემ ნიკო ნიკოლაძეს ''ულმობელი საქმის კაცი'' უწოდა. ის წერდა: ''შეიძლება არც დაიჯერონ, რომ ერთ კაცს ამდენი შეეძლო''. 1911 წელს ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგს ჩავიდა და ბარონ ფილიპ როპს ეწვია. მასპინძელი კავკასიიდან ჩასულ სტუმარს გულთბილად შეხვდა. იგრძნო, რომ იგი მნიშვნელოვან საქმეზე უნდა ყოფილიყო ჩამოსული. ნიკოლაძემ რუქა გაშალა და მდინარე ენგურზე მიუთითა, განუმარტა, რომ მდინარის კალაპოტი კაშხლის ასაგებად მოსახერხებელი იყო, რაც მის ქვეყანას და მთელ კავკასიას სიკეთეს მოუტანდა. როპი მოხიბლული დარჩა და დახმარება აღუთქვა. შემდეგ მდინარის წყლის სიჩქარის და დონის აზომვის სამუშაოებიც ჩაატარა. 1912 წელს ფილიპ როპმა ენგური მოინახულა ნიკოლაძის ვაჟთან, გიორგისთან ერთად. ის დარწმუნდა, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის გრანდიოზული სამუშაოები იყო ჩასატარებელი და ეს საქმე განუხორციელებლად მიიჩნია. მიუხედავად იმედგაცრუებისა, ნიკოლაძემ წყენა არ შეიმჩნია. დღეს, მრავალი წლის შემდეგ მისი ოცნება ახდა, ენგურჰესი შეუდარებელი ჰიდროენერგეტიკული ნაგებობაა. ასე დაემართა ქუთათელ თერძს სიმონ საყვარელიძესაც. მან ტყიბულის ქვანახშირის საბადო რომ იპოვა, მთელი ქუთაისი სიცილით კვდებოდა. სიმონ საყვარელიძის ამბავი ნიკო ნიკოლაძემ იცოდა, წერდა კიდეც ''დროებაში'': ''საიდან ჰქონდა ამ კაცს შეძენილი მადნეულობის ცოდნა, არ ვიცი და ვერც გავიგე. ნამდვილი კი ისაა, რომ ეს კაცი ნიადაგ დადიოდა მთებში ერთი უბრალო ჩაქუჩით და აგროვებდა სხვადასხვა მადნეულებს''. სინანულით დასძენდა: ''რამდენი ძვირფასი და სასარგებლო საიდუმლო ჩაიტანა ამ კაცმა თავის საფლავში, რომელიც ამ კაცს ნაპოვნი ჰქონდა და რომელიც ჩვენს ქვეყანას გამოადგებოდა''. არჩილ ჯორჯაძე წერს, რომ ქუთაისის შავი ქვის აღმოჩენაც და მრეწველობაც აკაკი წერეთელს უკავშირდება. მაგრამ მას ამ საქმეში არათუ თანაგრძნობა გამოუცხადეს, ყიჟინაც დასცეს. ნიკო ნიკოლაძეს მარგანეცის მნიშვნელობა კარგად ესმოდა, მაგრამ არ სჯეროდა, თუ აკაკი წერეთელს ამ საქმეში ასეთი ღვაწლი ჰქონდა და გაზეთში მრეწველის ნიჭი დაუწუნა. ისინი ერთხანს ერთმანეთს წაეკიდნენ, მაგრამ მალევე შერიგდნენ, მიხვდნენ, რომ ორივეს ჭიათურის მარგანეცის ბედი აწუხებდათ. როდესაც ნიკო ნიკოლაძე ფოთში მოღვაწეობდა, ნავსადგურის მშენებლობა წამოიწყო, თუმცა საკმარისი თანხა არ ჰქონდა. მან მთავრობას თხოვნით მიმართა ნავსადგურიდან გაგზავნილი ყველა ტვირთის ყოველ ფუთზე დაეწესებინათ ნახევარკაპიკიანი გადასახადი. ამის წინააღმდეგი იყო ''ჭიათურმარგანეცის'' ხელმძღვანელობა. მიუხედავად ამისა, ნიკოლაძის შეუპოვრობამ შედეგი გამოიღო, დაამტკიცა რომ, ფოთის ნავსადგური სწორედ ''ჭიათურმარგანეცს'' სჭირდება.

ნიკო ნიკოლაძემ დიდი დრო და ენერგია შეალია რკინიგზის მშენებლობას. აქვე მინდა ახლო წარსული, 1984 წელი გავიხსენო და ერთი მაგალითი მოვიყვანო: როცა ცნობილი მოგზაური, ტიმ სევერინი თავისი ექსპედიციით ''არგონავტების ნაკვალევზე'', ევროპიდან შავი ზღვით, მდინარე რიონით ვანს ეწვია, მითი არგონავტებზე რეალობად აქცია. თუ ჭოგნარის ზეგანიდან რიონის ხეობას თვალს შევავლებთ, ტურიზმისათვის თვალწარმტაცი ხედი გადაიშლება. დღეს, როცა საქართველოში ასეთი ბუმია ტურიზმის განვითარებისთვის, ევროპიდან, შავ ზღვამდე გემით, შემდეგ, მდინარე რიონზე ბრტყელფსკერიანი კატარღით ''გლისერი'' (ასეთ მცურავ საშუალებას მდინარის კალაპოტი დაბრკოლებას არ უქმნის, რადგანაც წყლის ზედაპირზე ცურავს), შემდეგ ცხენისწყლის და რიონის შესართავამდე, მით უმეტეს ისტორიულად ცნობილია, რომ მათ შესართავთან არსებობდა ქალაქი ორპირი თავისი ნავმისადგომით. შემდეგ სახმელეთო ტრანსპორტით, დიდი ჯიხაიში – ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი; წყალტუბო-სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმეები; ქუთაისი-ბაგრატის ტაძარი; მოწამეთა, გელათი, ნიკორწმინდა, უკან შავი ზღვით ევროპისაკენ. ვფიქრობ, უპრიანი იქნება, თუ ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გიორგი კახიანი ხმას მიაწვდენს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარეს, ბატონ დავით საგანელიძეს. შესაძლებელია სამტრედია გახდეს ტურიზმის ნაკადების სატრანსპორტო მაგისტრალური გზაგამტარი ხაზი. ჩემს ბავშვობაში, სოფელ მარანში უხუცესებისაგან მსმენია, იტალიელებს სოფელში ჰქონდათ მრგვალი ხის მორების სახერხი ქარხანა. ისინი სვანეთიდან ცხენისწყლის მეშვეობით მორებს მდინარით აცურებდნენ. საამქროში ძელებად, ფიცრად ხერხავდნენ და ევროპაში აგზავნიდნენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თავის დროზე საქართველოში სამდინარო ტრანსპორტი ფუნქციონირებდა.

ვიცი, გამოჩნდებიან სკეპტიკოსები, გაიცინებენ, ამ მოსაზრებას ფანტაზიად მიიჩნევენ, მაგრამ დრო ოცნებას რეალობად აქცევს. ნიკო ნიკოლაძე თავის დროზე წერდა: ''სიმდიდრე რომ არ დაიკარგება და ბოლოს პატრონი მაინც გამოუჩნდება, ამას მტკიცება არ სჭირდება, ოღონდ გასარკვევი ის არის, პატრონი ვინ აღმოჩნდება, შინაური თუ გარეული, ვინ მოიხმარს, ის ვისაც უფალმა უბოძა, თუ უცხო, ცხრა მთას იქიდან მოსული''.

**ოდითგან დღემდე ასეა,**
**კაცი ყოფილა კაცითა**
**ქვეყანა აშენებულა**
**შრომით და სიმამაცითა.**
***(ხალხური)***

***გია გოჭორიშვილი***

***P.S.*** *ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის ჩანაწერებში ვკითხულობთ:* — *ნიკო ნიკოლაძის ჩანაწერებში იკითხება: ''ფრანგი პოლ დუმერის ცნობით, ნიკო ნიკოლაძე შეხვდა უცნობ ფრანგ ინჟინერს მარსელ დეპრეს. პოლ დუმერი გახლდათ საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი და შემდგომ პრეზიდენტი''. ეს ფაქტი გახლავთ მეცნიერულად გამოკვლეული და დასაბუთებული.*

*კარგი იქნება, თუ საგარეო საქმეთა სამინისტრო საფრანგეთის პრეზიდენტს საქართველოში მოიწვევს და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს აჩვენებს. დიდმა ნიკომ ხომ პარიზი გაანათა!*

# გალაკტიონის უბის წიგნაკი

სტრიქონ-სტრიქონ იდუმალებას ფარავს დიდი გალაკტიონის შემოქმედება. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია, მისი უბის წიგნაკები, რომელსაც ფრაგმენტულობის მიუხედავად, საოცარი ოსტატობით ადგენდა, თანაც ხატვაც ჯეროვნად ეხერხებოდა, ისე, რომ გადმოსცემდა თავისი სულის კუნჭულების ყოველგვარ მოძრაობას. მაგალითად, თავფურცელზე კალმით ნაწერ წვრილ სტრიქონებს შუა ჯვარცმულ ქრისტეს ვხედავთ, ორიგინალურად გამოსახულს, სიმბოლურად გალაკტიონს რომ გამოხატავს. აკი, ამბობს ერთ-ერთ ლექსში'', როგორც ქრისტემ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე ბებერი''...

ჩანახატებს, რომელთაც პეიზაჟით, სულის მოძრაობის პორტრეტით აუხსნელის ახსნის ფუნქცია აკისრიათ, მრავლად ვხვდებით. აბა როგორ უნდა ავხსნათ სხვანაირად ასეთი სტრიქონები, ასეთი მორფოლოგიური კატეგორიები: ''საღამო იწვა ხავერდის ყდაში'', ''ოცნება, ნახაზი საგანთა უარით'', თუ ''სამშობლოს შავი ლიუციფერის'', ''არწივებს ჩასძინებოდათ'', ესენი ობიექტურად აუხსნელი ქვეტექსტები, ან მომავლის ნატვრის ოცნებასთან თამაში, ლაციცია. მარტოობა გალაკტიონის მუდმივი თანამგზავრი იყო. ''მარტოობის ორდენის კავალერად'' შერაცხული ტიციან ტაბიძის მიერ, ცხოვრების გაუსაძლის პერიოდებში მხოლოდ პოეზიის მკურნალ ძალას უხსნია. მას ჰქონდა თანამედროვეობასთან გაუცხოების შიშიც, უბის წიგნაკში ერთგან წერს: ''აშკარად ვგრძნობ... ჩემს უთვისტომობას, მარტოობას''.

რას არ ნახავთ მის უბის წიგნაკებში, შედევრების ცნობილ ვარიანტებს, აბსტრაქციებს, ჩანახატებს, წარწერებს თვალთუხილავი სტრიქონებისა, რომელიც მის მრავალ ლექსს ახლავს გრაფიკული გამოსახულებით. ირაციონალური ოცნების, ბოდვების თუ ჰალუცინაციების მსგავს გამოსახულებებში ასახულია არა მხოლოდ ილუსტრაცია, არამედ მისი განწყობილების ღრმა ნოსტალგიის გასაღები. ''მერი'' ჯერ კიდევ პირველი ვარიანტით თექვსმეტმარცვლიანი საზომით უცდია ''შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, ჩემო მშვენიერო, მერი'', შემდეგ თორმეტმარცვლიანით იცვლება ''შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, მშვენიერო მერი''... ყოველივეს ცდის შემდეგ, ათმარცვლიანი სტრიქონები გენიალური კონცენტრაციით და აღმაფრენით დაულაგებია:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო ვით შემოდგომა...

შემდეგ ლექსი მწოლიარე კაცის კარიკატურებით გაუფორმებია, რომლებიც ერთი შეხედვით უადგილოდ მოგეჩვენებათ აქ, მაგრამ რაღაც ღრმად უცნაურს, გენიალურად უცნაურს მეტყველებს.

პოეტებს ხშირად მოძღვრავს, აქ კი (ჩაუწერია) ჩაუნიშნია:

პოეტი მიჰყვეს, მიჰყვეს,
სასახლესა და ქუჩას,
თუ ტაშისცემა ბრიყვის
დიდ დაფასებად უჩანს.

იქვე დაუხატავს გიტარა გასაღები, თარიღი ''9 იანვარი'' 1948 და ვალების სია, რომელსაც იქვე აჯამებს.

ერთგან წერს:

მე ვადღეგრძელებ საქართველოს სავსე ყანწებით,
მე ვადღეგრძელებ...

მერე ქვემოთ:

რა ბედნიერი ვარ მამულო,
რა ბედნიერი,
რომ შენი ცის ქვეშ, შენს მიწაზე
ისევ დავბრუნდი.

ცხადია, რუსეთიდან დაბრუნებას გულისხმობს. იქვე მიხატულია ავტოპორტრეტი იმიტაციური ბორკილით და გვირაბიდან გამომზირალი პირმრგვალი სახე. ეს კონტრასტები გრძელდება, ჩანახატები სხვას გვეუბნებიან, ლექსის სტრიქონები სულ სხვას, მაგრამ სადღაც აუცილებლად იკვეთებიან იდეურად.

არაერთი შემოქმედი ხატავდა თავისი ლექსების გარშემო უცნაურ საგნებს. მაგალითად, ფედერიკო გარსია ლორკა, მაგრამ ლორკას სამყარო ბედნიერი, ხელოვნური და წარმტაცია, გალაკტიონის კი, მრუმე ფერებით გადაჭრილი და ტექსტიდან ამოვარდნილი. რატომ ხატავდა გალაკტიონი? რას გვიამბობდა ამ კომიქსებით? თითქოსდა, გაუგებარის ახსნას ცდილობდა? მას აქვს ერთი შესანიშნავი ფრაზა... ''მე მინდა ვწერო საგანზე და საგნის გარშემო, და არა იმიტომ რომ უბრალოდ ვწერო''... ხატვით კი, რატომღაც ძალიან აბსტრაქტულად ხატავდა, მაგალითად, როგორც ცნობილი ნორვეგიელი მხატვარი ედმუნდ მუნკი. ვერ გეტყვით გალაკტიონი იცნობდა თუ არა ამ მხატვრის შემოქმედებას, მაგრამ მსგავსება აშკარაა. მუნკის ცნობილი შედევრი ''ყვირილი'' ერთგან დაუხატავს და ერთობ ჭარბად გაუკომიქსებია კიდეც, რომელსაც ''სახარება მათესი'' ჰქვია.

გალაკტიონის უბის წიგნაკში მოყვანილი ჩანაწერები ქაოსურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მათში არის დაეჭვებაც, ჩრდილის მიყენებაც მასზე და სხვებზეც, აგრეთვე რეალობის აღქმა, როგორც სისასტიკე გულის ამაჩუყებელ განცდამდე დაყვანილი პოეტური სტრიქონები ამონარიდების სახით ამ ქაოსებიდან იქმნება, ის გასაოცარი ჰარმონია, რომლითაც გალაკტიონ ტაბიძის პოეზია მიმსგავსებულია პეტრარკას, დანტეს, შექსპირის და გოეთეს, შილერის, ჰაინესა და მიცკევიჩის და ბოლოს, ბარათაშვილის გენიალურ შემოქმედებას. ასეთი ნაწილებისაგან იქმნება დიდი პოეზია _ ''ფაუსტი'', ვაჟას პოემები, დანტეს კომედია, მილტონის ''დაკარგული სამოთხე'' და სხვა. ავტორს შორეული სიყმაწვილიდან დაუსახავს მიზნად დაფნის გვირგვინის უმწიკვლოდ და პატიოსნად ტარება.

ერთი უცნაური და ცნობილი ფრაზა, ჩაიწერა ჯერ კიდევ ჭაბუკმა გალაკტიონმა უბის წიგნაკში: ''მე მთელ სამყაროს დუღეში ვიწვევ!'' მოგვიანებით კი გაჩნდა უფრო ფილოსოფიური, პლა-



ტონური სიბრძნის გამოძახილი, ''სძლიეს საკუთარ თავს'', ანუ გალაკტიონისებურად წაკითხული ''ბრძოლა გალაკტიონსა და გალაკტიონს შორის''. ეს შემოქმედებითი ომია, მაგრამ ვინ იმარჯვებს ამ ომში? პასუხად ისმის მისივე გამოძახილი: ''მე უნდა დავწერო წერილი მე როგორც პიროვნებაა შიგადაშიგ ნახსენები იქნება მხოლოდ ნერვები''.

უდიდესი შინაგანი ბრძოლების, ცხოვრებისეული პრობლემების გადალახვის ფონზე ქმნის გალაკტიონი გიგანტურ ტილოს, რომლის სახელწოდებაა, ''ინტეგრალური პოეზია'' და რომელიც დამსხვრეული ნაწილებისაგან შესდგება, როგორც ჯადოსნური სარკე. იწვევს ემოციებს, მუზის წიაღში იჭრება და ქმნის ერთიან პოემას სიცოცხლეზე, სიყვარულზე, ჯვარცმაზე და სიკვდილზე. საფლავებამდე ვიდრე მივა მანამდე უხილავ კათარზისამდე _ ვიდრე ჯვარცმამდე, პოეზიამდე _ ''როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი''. მივიდა იქამდე სადაც მაცხოვრის ჯვარცმის კლასიკური სიუჟეტია მის მიერვე დანახული: ''ყურს გვიგდებენ მიცვალებულნი დიდხანს. ძვირფას საფლავებს ერთვის ძილი, მაგრამ ჩვენ უნდა აღვადგინოთ მათი დიდება. ვიფიქროთ იმ ხალხზე, რომლებიც აშენებენ ამ კედლებს, ამ სამრეკლოებს, იმ ხალხზე მე-19 საუკუნეში რომ დაასაფლავეს, მათზე, რომელნიც ყოველთვის გაგახსენდებიან, როცა წამების ჯვარზე დაინახავ, დაინახავ იმ მორწმუნეებს, რომელთაც თავი დასდეს, რომელნიც მღვდელ მსახურებას ასრულებდნენ თავიანთ სალოცავ ტაძარში და მთრთოლვარე ხელით ანთებდნენ სანთლებს მშვენიერების წინ. ვიფიქროთ მათ ტანჯვაზე, მათ ცრემლებზე. ვიფიქროთ სასაფლაოზე, სადაც დამშვიდებით განისვენებენ განწირულნი, დავიწყებულნი... ჩემი სული იღვიძებს და მზად არის ისევ აანთოს დაფარული სიამაყის სანთლები''...

ვინ იცის, ვის გულისხმობდა გალაკტიონი, ალბათ მათ, ვინც ჯვარი იტვირთა და ეწამა. გაიღვიძებს როგორც ''სული შეშლილი და ბედნიერი''... და მხოლოდ მუზა ააცილებს მას რუტინას, თავს დაადგამს წამების და დაფნის გვირგვინს. უხილავია მისი სულის გრადაციები, მისეული წვის და დაგვის ლაბირინთები, პერიფერიები, უცნობი, უჩვეულოდ ბნელი, ზოგჯერ ''საოცრად დახურული, ზოგჯერ საოცრად ღია'', ასეთია გალაკტიონის მუზის მარადიული და აფორიაქებული სული.

**მერაბ ჩარავა**



# ქართული ნიჭის, გენის საყოველთაო აღიარება

ასე შეიძლება შეფასდეს ''იუნესკოს'' მიერ ახლახან მიღებული გადაწყვეტილება _ მომავალი ''2016 წლის _ შოთა რუსთაველის _ ვეფხისტყაოსანის წლად'' გამოცხადების შესახებ.

ჯერ კიდევ მიმდინარე 2015 წელი იუნესკომ საქართველოსთვის აკაკი წერეთლის წლად გამოაცხადა და იგი მწერლის დაბადებიდან 175-ე, გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავს მიუძღვნა.

სამწუხაროდ, ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, წინა წლებისაგან განსხვავებულად არც ქვეყანასა და არც სამტრედიაში აკაკის დღეები არ ჩატარებულა...

რაც შეეხება უკვდავ ''ვეფხისტყაოსანს'' და მის გენიალურ ავტორს _ შოთა რუსთაველს, ვიმედოვნებთ, ამჯერად მეტი ყურადღებით მოვეკიდებით, რამეთუ, იუნესკომ 2016 წელი არა საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსათვის გამოაცხადა რუსთაველის წლად, რაც ქართული ნიჭის, გენის კიდევ ერთი საყოველთაო აღიარებაა.

უეჭველია, საქართველოში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდებიან ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის დროულ გადაწყვეტილებას და ყველაფერი გაკეთდება გენიალური მოაზროვნის, შოთა რუსთაველის ხელიხელსაგოგმანებელი ''ვეფხისტყაოსნის'' კიდევ მეტი პოპულარიზაციისათვის, რაც ისევ და ისევ ჩვენ, ჩვენს მომავალს, ხვალინდელ საქართველოს სჭირდება, ისე, როგორც თევზს _ წყალი, ადამიანს _ ჰაერი.

**ლევან გაბეჩავა**



ერთი სკოლის ისტორიიდან

# რეგალიები უცხოა მისთვის

**შოთა ჰაჰავა**

*უბრალოდ, კაცი ნამუსიანი, სტუმარმასპინძლობაში შეუცდომელი, მეგობრებისთვის საიმედო, ოჯახის წევრთათვის სამაგალითო. ასეთია ბატონი პავლე თავაძე, ასეთად იცნობენ მას სამტრედიელები. ნაცად მეგობარს ბატონი ბორის ფოცხვერაშვილი თავისივე ლექსით გვიხასიათებს:*

*''საოცარი გრძნობისა და სუფთა გულის პატრონი,*
*ასეთია საძმოს წევრი, ჩვენი პავლე ბატონი.*
*რაც რამე აქვს, ყველას მიმართ უშურველად არიგებს,*
*ჭრილობაზე გულს გაგიფენს და მალამოდ დაგიდებს.*
*ისე თბილად დაგიყვავებს, წუხილს გაგიიოლებს,*
*მისი ქცევით ირგვლივ იქმნის სულ დადებით ბიოველს''.*

***1942** წელს დაიბადა იგი. დედა _ ქსენია გოგიშვილი მეაბრეშუმე აგრონომი გახლდათ, მამა _ პროკლე თავაძე _ რკინიგზელი. **1921** წელს თავაძეების ოჯახი ჩოხატაურიდან სამტრედიაში გადმოსულა საცხოვრებლად. ბატონი პავლე მონატრებით საუბრობს მშობლებზე, _ მათგან ბევრი ვისწავლეო, _ ამბობს.*

*ბავშვობა, ყმაწვილკაცობა დღევანდელი გადმოსახედიდან უდარდელად ეჩვენება. ენანება თვალის დახამხამებაში გაფრენილი წლები. წამით გაირინდება და მოსწავლეობის ტკბილსახსოვარ პერიოდს იგონებს...*

_ 1949 წელს რკინიგზის № 23 საშუალო (ამჟ. მე-10 საჯარო) სკოლაში შემიყვანეს. დირექტორი შალვა ჩიხლაძე ყოველმხრივ კეთილშობილი პიროვნება იყო. სითბოს, სიყვარულს გვინერგავდა დაწყებით კლასებში ჩვენი მასწავლებელი და აღმზრდელი თინა ალავიძე. ვუყვარდით ბავშვები და ჩვენც გვიყვარდა იგი. დაუვიწყარნი არიან ბრწყინვალე პედაგოგები: ნოე კვერნაძე, ნინა კაჭარავა, ლილი ნანეიშვილი, ზინა კაპანაძე, ნინა ჩიხლაძე, გოგონა კაკაბაძე, ჟორა კახიანი და მრავალი სხვა.

მე-6 კლასელი პავლე თავაძე რკინიგზის № 24 საშუალო (ამჟ. № 12 საჯარო) სკოლაში აგრძელებს სწავლას.

_ გვეამაყებოდა ვყოფილიყავით იმ სკოლის აღსაზრდელები, რომლის დირექტორი საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი შუშანა ქართველიშვილი გახლდათ. ქალბატონმა შუშანამ მთელი ცხოვრება მომავალი თაობის სამაგალითოდ აღზრდას შეალია. მასზეა ზედგამოჭრილი პოეტის სიტყვები: ''მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი''.





პირველი დღე ახალ სკოლაში, ემოციებით დატვირთული დღე. მახსოვს, გოგონები და ვაჟები გვერდიგვერდ დავსხედით; მონდომებით, ერუდიციით ერთმანეთზე უკეთესი ბავშვები. დღეს ბევრი აღარაა ცოცხალი: ამალია ჩაჩუა, გურამ ხუჭუა, გივი ბელთაძე, რუსლან მუქერია, ბეჟან ქანთარია... უფალო, ნათელში დაავანე მათი სულები.

რომელი ერთი ჩამოვთვალო სამართლიანობით, მიუკერძოებლობით, სათნოებითა და პროფესიონალიზმით მადლმოსილი ჩემი მასწავლებლებისგან _ შურა კახაძე, გოგიტა მაჩიტიძე, ძალიან მომთხოვნი და მკაცრი პედაგოგი, გივი კალაძე, სერგო მუქერია, ნინა წიქორიძე, თამარ რუსია, ალექსანდრე (საშა) გელეიშვილი, თამარ ჯანელიძე, ზინა გაგუა, ანა ტეპლიცკაია...

ათეულობით წელი მაშორებს სკოლის იდილიასთან, ჩვენი ანცობის ხმაურთან, თუმცა ემოციები, სიყვარული გაუხუნარია. როცა მე-12 საჯარო სკოლის (დირექტორი ხათუნა თელია) კურსდამთავრებულთა წარმატებების, მიღწევების შესახებ მესმის, გული სიხარულით მევსება. ვრწმუნდები, ჩემი მშობლიური სკოლა, პედაგოგიური კოლექტივი კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა, მზადაა საქართველოს მრავალი საამაყო შვილი აღუზარდოს!

# ახალგაზრდული დებატები გრძელდება

**ნათია ნაცვლიშვილი**

***მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ის კულტურული კერაა, სადაც წლებია, ახალგაზრდები ღირსეულ ადამიანებად ყალიბდებიან. მოსწავლეთა პარლამენტი, რომელსაც ქალბატონი ელიკო ანკვაბი ხელმძღვანელობს, აქ მომუშავე ერთ-ერთი საინტერესო ახალგაზრდული სეგმენტია. მოსწავლეები თავადვე ირჩევენ სადისკუსიო თემებს და დებატებს აწყობენ ამა თუ იმ აქტუალური თემის გარშემო. ამჯერად სამსჯელო თემა იყო: "ენით კი ვის არ უკოდავს".***

ვინაიდან საჯარო სკოლებში რელიგიის გაკვეთილები არ ტარდება, ახალგაზრდობის სახლი მოსწავლეებს უვსებს ამ დანაკლისს და კვირაში ერთხელ დეკანოზი რომანოზი (ნინუა), მათ რელიგიის თემაზე ესაუბრება. ამჯერადაც სტუმრად მამა რომანოზი მოიწვიეს. საღამო სახლის მეთოდისტს, თინათინ კლატეიშვილს და მოსწავლეთა პარლამენტის წევრს, დაბლა გომის საჯარო სკოლის მე-11 კლასელს ვახტანგ ნიკოლეიშვილს მიჰყავდათ.

დისკუსია 13 ნოემბერს მოეწყო, ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს. ვახტანგ ნიკოლეიშვილმა რვა საუკუნის წინანდელი ამბავი თანატოლებს შეახსენა: "1225 წელს, ჯალად-ედ-დინმა საქართველოში ილაშქრა. ერთმანეთს 200 000 მუსლიმი და 60 000 ქრისტიანი დაუპირისპირდნენ. პირველივე შეტევაზე უპირატესობა ქართველებს ჰქონდათ, მაგრამ ღალატმა იჩინა თავი, მოღალატეებმა ღამით გაუღეს მტრებს ქალაქის კარი და ხვარაზმელთა ლაშქარი უბრძოლველად შევიდა ქალაქში. მტერმა საშინელი სისასტიკე გამოიჩინა. გორებად ეყარნენ დახოცილები, წითლად შეიღება მტკვარი. ჯალალ-ედ-დინმა სიონის ტაძრისთვის გუმბათი მოარღვევინა და ზედ თავისი ტახტი დაადგმევინა. ხვარაზმელთა სულთანმა სიონის ტაძრიდან წმინდა ხატები გამოაბრძანებინა და მეტეხის ხიდზე დაასვენებინა. ქართველებს კი უბრძანა "დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა", ვინც არ აღასრულებდა მის ბრძანებას, თავის მოკვეთა ელოდა. ქართველებმა კი, უფლის სიყვარულით გულანთებულებმა, ურყევი რწმენის მაგალითი მისცეს მთელ კაცობრიობას. იმ დღეს 100 000 ქართველის თავწარკვეთილი სხეული გაატანეს მტკვარს და იმ დღიდან ჩვენს ერს უფლის წინაშე 100 000 მეოხი შეემატა".

ამ საინტერესო ისტორიული ექსკურსის შემდეგ მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლემ, სალომე სტურუამ სამსჯელო თემის გარშემო საინტერესოდ ისაუბრა. დარბაზიდან არაერთი კითხვა დაუსვეს მოძღვარს: რა არის თანამედროვე ახალგაზრდების ყველაზე დიდი ცოდვა?

თვითმკვლელმა ადამიანმა შეიძლება დაიკვიდროს სასუფეველი? რატომ გმობს ერთსქესიანთა ქორწინებას ეკლესია? და სხვა.

"ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაკლი თვითრჯულობაა. ესაა ადამიანი, რომელიც ზედმეტად მინდობილია თავის თავისადმი, ზედმეტად მინდობილნი ხართ თანამედროვე ტექნოლოგიებს – უნდა იკითხოთ სახარება, წმინდანთა ცხოვრება და თავადვე შეაჯეროთ ყველაფერი". – მიმართა ახალგაზრდებს მოძღვარმა. მისივე თქმით: "ადამიანმა არ უნდა მოისწრაფოს სიცოცხლე, უნდა სჯეროდეს ღმერთის და უნდა ჰქონდეს მისი იმედი". მოძღვარმა ისტორიული წარსულიდან ფრაგმენტიც შეგვახსენა, როცა მტრის ხელში ჩავარდნას ქართველი ქალები სიკვდილს ამჯობინებდნენ და ხრამში თავადვე სცვივდნენ. ასეთი ადამიანები, ვინც რჯულისთვის ეწირებიან, არიან მორწმუნენი. რაც შეეხება ერთსქესიანთა ქორწინებას, მოძღვარმა სოდომისა და გომორის ისტორია გაიხსენა, მისი თქმით: "ორი უდიდესი ქალაქი უფალმა გოგირდის ცეცხლით დასწვა, იმიტომ, რომ ისინი ღვთის ნებას ეწინააღმდეგებოდნენ".

საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს პედაგოგმა ელიკო ანკვაბმა და სახლის დორექტორმა, ტატა გოგუაძემ. მათ მადლობა გადაუხადეს სტუმარს, მოსწავლეებს და იმედი გამოთქვეს, რომ ახალგაზრდობის სახლში საინტერესო დისკუსიების გამართვის ტრადიცია არასოდეს მოიშლება.





# მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომი

დიდი ილია ჭავჭავაძე წერს: "წარსული აწმყოს საფუძველია, აწმყო მომავლისა". ამ კუთხით საინტერესოა ბატონ ბორის ფოცხვერაშვილის სარეცენზიო ნაშრომი "წარსული, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება" (გამოცემული 2014 წელს ქუთაისში). წიგნი სოლიდურია, მოიცავს 358 გვერდს, დაწერილია რწმენითა და რუდუნებით განვლილი ცხოვრების, მდიდარი გამოცდილების მქონე ავტორის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარგად ჩახედული პიროვნებისა, მაღალინტელექტუალური მოაზროვნის მიერ თვალით ნახული და გრძნობით განცდილი წარსულის შესახებ.

წიგნის სათაურიც შერჩეულია მეტად გონივრულად, ადეკვატურად გამოხატავს დროის სამი განზომილებისადმი ავტორის დამოკიდებულებას, რაც მთავარია, ავტორს იმდენად კარგი წარსული აქვს, რომ დასავიწყებლად არ ემეტება.

ჩვენი, რეცენზენტების მიზანია, მკითხველს გავუზიაროთ საკუთარი შთაბეჭდილებები ჩვენი ინტერესის სფეროში შესული წიგნისა და მისი ავტორის შესახებ. წიგნი მიძღვნილია ავტორის იმიერში ნაადრევად გადასული მშობლების, ქსენია კოპალეიშვილისა და ვიქტორ ფოცხვერაშვილის, აღმზრდელი ბებიის, ნატალია შალამბერიძე-კოპალეიშვილის და ბიძის, მიხეილ კოპალეიშვილის ნათელ ხსოვნას.

ცოტა რამ წიგნის ავტორის შესახებ. ბორის ფოცხვერაშვილი დაიბადა ბაღდათში და გაიზარდა სამტრედიის რაიონში საბჭოთა პერიოდში და მისი ნაშრომიც ამ პერიოდს ეხება. იგი თავისი ცხოვრებით, განვლილი გზით, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი თუ პირადი მოღვაწეობით ორგანული ნაწილია ჩვენი სამშობლოს ისტორიისა.

ბატონი ბორის ფოცხვერაშვილი, როგორც გარკვეული რანგის ყოფილი ხელმძღვანელი (კომკავშირის სამტრედიის რაიკომის მდივანი, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე თუ რაიაღმასკომის თავმჯდომარე) ემსახურებოდა სამშობლოს და თავის ხალხს. ამ შემთხვევაში, როცა ვაფასებთ პიროვნების მოღვაწეობის თუ ავტორის ნაშრომს, მხედველობაში უნდა მივიღოთ სამშობლოსათვის გაწეული მისი ღვაწლი. ამ პრინციპით უნდა აიხსნას ისიც, რომ თანამედროვე მკითხველი ეცნობა ყოფილი საბჭოთა მოღვაწეობის ნაშრომებს, კონკრეტულ შემთხვევაში, მემუარებს. ამის ერთ-ერთი საუკეთესო და სავსებით გასაზიარებელი ნიმუში თუ მაგალითია ბატონი ბორის ფოცხვერაშვილი და მისი მემუარები. თუ რამ განაპირობა მემუარების დაწერა ამიტომ მემუარების გამოცემაზე ფიქრი სერიოზულად დაუწყია იმ განზრახვით, რომ შთამომავლობამ, სამწუხაროდ, ნაკლებად ან სულ არ იცის თავისი წინაპრების შესახებ, რაც გაუმართლებლად მიაჩნია ავტორს და იგი შეეცადა წინა პლანზე წამოწევას იმ საკითხებისა, რაც მომავალი თაობებისთვის მისაღები და გათვალისწინებული იქნებოდა. ავტორი პირადი ცხოვრების სახით აჩვენებს იმასაც, რომ ობლად, მარტოდმარტო დარჩენილი ავტორი, არ შეუშინდა, ცხოვრების სირთულეებს. ბებია-ბიძის რჩევა-დარიგებით შეეჭიდა სიძნელეებს, ნათესავთა ხელშეწყობით და თანადგომით აირჩა სწორი, ჭეშმარიტი გზა და ცხოვრება პატიოსნად, სანიმუშოდ განვლო. თავისი საქმიანობითა და მოქალაქეობრივი თვისებებით საზოგადოებაში დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი იმდენად, რომ და უკან მოხედვაც არ რცხვენია.

ნაშრომის სიუჟეტი იწყება წინაპრებზე საუბრით. ავტორი წერს, რომ ისინი თუშეთიდან, ქისტაურები ყოფილან. შემდგომში, უკვე ფოცხვერაშვილების ნაწილი, XVI საუკუნეში კახეთიდან იმერეთში, კერძოდ, თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთში დასახლებულან. მათგან რამდენიმე ოჯახი ღვთისმსახურებას შედგომია. ავტორის უშუალო წინაპარი, დიდი ბაბუას მამა, გიორგი ფოცხვერაშვილი ბაღდათის რაიონის სოფელ სადემეტრაოში (წითელხევში) გაუნაწილებიათ. ბაბუა დავითიც მის გზას გაჰყოლია, მუსიკალური განათლებაც მიუღია, ბებიის მოყოლით, სოფლის ბავშვებს ვიოლინოზე დაკვრასაც ასწავლიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დავითს ანაფორა გაუხდია და თავისი მეურნეობის მოვლა-პატრონობას შედგომია.

ავტორი გულწრფელად იმასაც ამბობს, რომ ბაბუა დავითსა და მის უმცროს ძმას, კოტე ფოცხვერაშვილს, შემდგომში ცნობილ კომპოზიტორს, ქველმოქმედს, დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნის "დიდებას" ავტორს შორის დაპირისპირება მომხდარა, მათი სხვადასხვა იდეოლოგიური მრწამსის გამო. კოტე მენშევიკური, ხოლო ბაბუა, მიუხედავად ღვთისმსახურებისა, ბოლშევიკური ორიენტაციისა ყოფილან. კოტეს არსებული ხელისუფლებისადმი ერთგულების დასამტკიცებლად მთავრობისათვის გადაუცია სოფლად საერთო ორსართულიანი სახლი, რომელშიც შემდგომ სოფლის სკოლად გაუხსნიათ. ამ ფაქტის გამო ძმები სიცოცხლის ბოლომდე უბრად დარჩენილან.

მშობლებზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ მამა ვიქტორ დავითის ძე ფოცხვერაშვილი 1909 წელს დაბადებულა. საკმაო განათლებაც მიუღია, 1923 წელს კომკავშირის რიგებში შესულა. მალე კომუკრედის მდივნად აურჩევიათ. სხვადასხვა დროს იყო ბაღდათის რაიონის ახლად ჩამოყალიბებული კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კპ ცეკას ინსტრუქტორი, ზემო სვანეთში პარტიის ცეკას წარმომადგენელი.

1931 წელს პარტიის ცეკას დავალებით სამუშაოდ აჭარაში გაუგზავნიათ, სადაც ბოლო პერიოდში პარტიის ქედის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ მუშაობდა. 1934 წელს ოჯახი შექმნა ბათუმში და ცხოვრობდნენ რუსთაველის ქ. № 43-ში. 1936 წელს ვიქტორი ჯარში წასულა. 1941 წელს მოხალისედ წავიდა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1942 წელს ყირიმთან ბრძოლაში დაჭრილა, დემობილიზაციით დაბრუნდა ჯარიდან და აჭარის კურორტსამმართველოს უფროსად დანიშნეს. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტზეა. 1943 წლის 27 ივლისს ბელგოროდთან წარმოებულ ბრძოლებში დაიღუპა. განისვენებს იქვე, ახლოს "კრაპივინსკიე დვორის" ძმათა სასაფლაოზე. 1961 წელს პირველად, შემდეგ თითქმის ყოველწლიურად ჩადიოდა მამის საფლავზე.

ავტორი დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებს დედასაც. ქსენია პეტრეს ასულ კოპალეიშვილს, დაბადებულს 1911 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში რკინიგზის თბილისის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბათუმის რკინიგზის სადგურში, ჯერ ვაგზლის მორიგედ, შემდეგ ვაგზლის უფროსად. ავტორი გულისტკივილით იგონებს იმასაც, რომ მშობლები ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ, როცა თვითონ იყო 7 წლის. უფრო მეტად ახსოვს დედა, რომელმაც იგი მიიყვანა სკოლის პირველ კლასში.

ობლად დარჩენილი შვილი არდადეგებს უფრო მეტად ასინეთ ბებიასთან, მამის დედასთან, წითელხევში ატარებდა. ბებია დაამახსოვრდა კიდევ იმითაც, რომ სტუდენტობის დროს 1000 მანეთი აჩუქა შვილიშვილს. ობლად დარჩენილი ბორისი პიროვნებად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებდა დედის დედას, ნატალია შალამბერიძე-კოპალეიშვილის. მის სიტყვასა და აზრს ახლობლებში მუდამ ფასი ჰქონდა, "ოთარაანთ ქვრივს" ეძახდნენ. 25 წლის ასაკში ცალუღელად დარჩენილმა ბებიამ თავისი ცხოვრება შვილებისა და შვილიშვილების აღზრდას შეალია. ხელისუფლებამ მოინდომა ობოლი ბავშვის ბავშვთა სახლში გადაყვანა, ბათუმიდან ბებიასთან სპეციალურად კაციც მისულა, მაგრამ ბებიამ კატეგორიული უარით გაისტუმრა სტუმარი.

წიგნის ერთ-ერთი ქვეთავია "ახლობლების ძიებაში" (გვ. 11-15). რაკი ავტორი მცირე ასაკში დაობლდა, ახლო ნათესავებს არ იცნობდა და არც იცოდა, ვინ ჰყავდა. ბებიასგან გაგონილით დაიწყო ძებნა და თავის მოგვარეებთან დაამყარა კავშირურთიერთობა. ამაში მას ხელს უწყობდა მისი სამსახურებრივი მდგომარეობა, რითაც ყველა ქალაქისა თუ რაიონის კოლეგების მეშვეობით მოიძია და გაიცნო ისინი, ესტუმრა ოჯახებში, გაჩაღდა ნამდვილი სისხლით ნათესაური ურთიერთობა ფოცხვერაშვილებს შორის და ეს სითბო და სიყვარული გრძელდება დღემდეც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბორისის შეხვედრა ბაბუას ძმასთან, საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნის "დიდების" ავტორთან, კომპოზიტორ კოტე კოპალეიშვილთან. რომელიც ქ. ბათუმში, 1956 წელს, როცა ბორისი ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტი იყო, ჩამოსულა მასწავლებელთა სახლში ლექციის წასაკითხად. ლექციის დამთავრების შემდეგ ლექტორთან მივიდა ბორისი, მისი მსმენელი, მიესალმა. ლექტორი კი თავისი სახელ-გვარით წარსდგა ახალგაზრდა კაცის წინაშე. როცა დარწმუნდა მსმენელის სადაურობასა და მის ნათესაობაში, აღმოხდა: "ჩემი პირველი ძმის, ვიქტორის ვაჟი ყოფილხარო". მაგრად გადაეხვია და გულში ჩაიკრა. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო ბორიას სტუმრობა 1964 წელს ბიძის ოჯახში, კოტეს ქალიშვილთან, ქალბატონ დოდოსთან (სამწუხაროდ, ბიძა უკვე აღარ იყო ცოცხალი).

ბორისის მეგობრების თანადგომით 1990 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კოტე კოპალეიშვილის სახელი მიენიჭა წითელხევის საშუალო და სოფლის მუსიკალურ სკოლებს.

წიგნის ავტორს ბევრი მეგობარი ჰყავს. ხშირად ისმის კითხვა: რამდენი მეგობარი შეიძლება ჰყავდეს ადამიანს? პასუხი სხვადასხვაა. ჩვენ კი წინმდებარე წიგნის წაკითხვის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში კონკრეტული ციფრის დასახელება. ეს დამოკიდებულია თითოეულ ადამიანზე, მის ხასიათსა და უნარზე.

ოჯახური აღზრდა გააღრმავა უმაღლესმა განათლებამ. ბატონმა ბორისმა დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. იყო აღიარებული მასწავლებელი, ნიჭიერი ლექტორი, დაწინაურდა კომკავშირულ, პარტიულ და სახელმწიფო სამსახურებში პირველ კაცად. პირველ კაცობას სჭირდებოდა კანონების ცოდნა, ეს მისი სულიერი მოთხოვნილება გახდა. დაუსწრებლად დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ბატონი ბორისი თავის ნაშრომში თავისი თავის წინაშე სვამს ლოგიკურ კითხვას: რა შეიცვალა ჩემში იურიდიული განათლების მიღების შემდეგ? ღირდა კი ამისთვის ოთხი წლის "გაცდენა"? და იქვე პასუხობს: "პირველი, როგორც სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, რაიმე საკითხზე მსჯელობის თუ მომხდარი ფაქტის შეფასებას, უკვე სამართლებრივი თვალსაზრისით ვუდგებოდი... მოვლენების შეფასებისას უფრო მობილიზებული და თვითკრიტიკული გავხდი.

იურიდიულმა განათლებამ გადამწყვეტი სიტყვა თქვა ჩემს შემდგომ სამსახურებრივ კარიერაზეც, ეს იყო რაიოკომის აღმასკომის თავმჯდომარეობა, თუ სახელმწიფო ქონების მართვის (პრივატიზაციის სამმართველოს უფროსისა)". – დასძენს ავტორი (გვ. 58).

ნაშრომის ავტორი მრავალმხირივი პიროვნებაა. კარგი ლიტერატორი, იუმორისტი, პოეზიის მოყვარული თავისი ლექსებისა, რომლებიც ამშვენებენ მის მემუარებს. იგი დიდი სიყვარულით საუბრობს თანაკურსელ პოეტებზე: დენდი (იუზა ლორია), ლუკმის გამყოფი (ანზორ ციცხვაია), აჭარის ბულბული (ზურაბ გორგილაძე).

მემუარები საინტერესოა აგრეთვე იმითაც, რომ ავტორი გამოხატავს დამოკიდებულებას გასული საუკუნის 90-იანი, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა, აგვისტოს ომი. ამაში ავტორი ადანაშაულებს მხედრიონელებსა და გვარდიელებს, რომლებიც ატარებდნენ პარტიკულარულ პოლიტიკას და მოქმედებდნენ პრინციპით: "ძალა აღმართს ხნავს" (გვ. 93-111). აქვე ავტორი თვითკრიტიკულად უდგება საკუთარ შეცდომებსაც.

ამგვარად, სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომის მემუარული ლიტერატურის კარგი შენაძენია, დაწერილია გამართული ქართულით, დახვეწილი ლიტერატურულ-მხატვრული ენით, იკითხება საინტერესოდ, არის ილუსტრირებული. მიუთითებს ბატონი ბორის ფოცხვერაშვილის, როგორც ავტორის მაღალ ინტელექტზე, ერუდიციაზე, როგორც ხელმძღვანელის, სახლმწიფოებრივ აზროვნებასა, მრავალმხრივ საქმიან და შედეგიან მოღვაწეობაზე, რაც შეხამებულია ნაშრომის "ბოლოთქმაში". ალბათ აჯობებდა თავიც "წინათქმა".

ნაშრომი ატარებს დიდაქტიკის ნიშნებსაც, მკითხველი, დაინტერესების შემთხვევაში, მიიღებს ბევრ სასარგებლო რჩევასა და გამოცდილებას, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იღვაწოს, რომ საზოგადოებაში დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი. შთამომავლობამ, მომავალმა თაობამ დაიმახსოვროს შენი კარგი სახელი და კეთილი საქმე.

ავტორს, ბატონ ბორისს ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კვლავაც გეზრუნოს შენი ოჯახის, გვარის, მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ. თქვენი სანიმუშო ოჯახის ახლობლებით, მეგობართა წრით, განვლილი გზით, ნაყოფიერი მოღვაწეობით, ქველმოქმედებითა და ბოლოს, მემუარების შექმნით საკუთარი ხელით დაიდგით ძეგლი თქვენს სიცოცხლეში.

***სერგო დუმბაძე***
***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***
***ნიკოლოზ დუმბაძე***
***ფილოლოგი-ჟურნალისტი***

# სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი

| org. kodi | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 11 373,5 | 11 822,7 | 2 918,1 | 8 904,6 | 14 727,2 | 4 805,2 | 9 922,0 | 9 769,2 | 189,0 | 9 580,2 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 981,0 | 1 018,0 | 30,0 | 988,0 | 1 230,0 | 10,0 | 1 220,0 | 1 212,0 | 10,0 | 1 202,0 |
| | ხარჯები | 7 850,7 | 9 523,3 | 979,8 | 8 543,5 | 10 151,4 | 694,3 | 9 457,1 | 9 439,4 | 189,0 | 9 250,4 |
| | შრომის ანაზღაურება | 2 408,3 | 2 652,0 | 0,0 | 2 652,0 | 1 792,2 | 86,3 | 1 705,9 | 1 915,0 | 85,2 | 1 829,8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 522,8 | 2 299,4 | 1 938,3 | 361,1 | 4 569,5 | 4 110,9 | 458,6 | 329,8 | 0,0 | 329,8 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 6,3 | 0,0 | 6,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2 561,5 | 2 840,5 | 0,0 | 2 840,5 | 2 425,7 | 0,0 | 2 425,7 | 2 650,2 | 0,0 | 2 650,2 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 199,0 | 185,0 | 30,0 | 155,0 | 175,0 | 0,0 | 175,0 | 175,0 | 0,0 | 175,0 |
| | ხარჯები | 2 550,9 | 2 834,8 | 0,0 | 2 834,8 | 2 338,2 | 0,0 | 2 338,2 | 2 591,2 | 0,0 | 2 591,2 |
